სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 27

2014 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

,,2014 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 11 თებერვლის №14 ბრძანებაში" ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ნოსელიძის სამსახურებრივი ბარათის (N159419, 20.03.2014) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,,2014 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2014 წლის 11 თებერვლის №14 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართის მე-7 მუხლში და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენის ვადები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში ონლაინ წარდგენა შესაძლებელია:

ა) არა უგვიანეს 2014 წლის 25 თებერვლისა - 2014 წლის 15 მარტიდან -30 აპრილის ჩათვლით დაგეგმილი ღონისძიებებისთვის;

ბ) არა უგვიანეს 2014 წლის 24 მარტისა - 2014 წლის მაისი-ივნისში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის;

გ) არა უგვიანეს 2014 წლის 20 მაისისა - 2014 წლის ივლისი-აგვისტოში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის;

დ) არა უგვიანეს 2014 წლის 20 ივლისისა - 2014 წლის სექტემბრი-ოქტომბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის;

ე) არა უგვიანეს 2014 წლის 20 სექტემბრისა - 2014 წლის ნოემბერი-დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის.

ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები შესაბამისი პერიოდებისათვის საკონკურსოდ არ განიხილება."

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge .
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

სულხან სისაური